ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33020130/19

ქ. თბილისი

27 აპრილი 2018 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ შემოქმედებითი საქართველოს** დირექტორის **ანა რიაბოშენკოს** სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.4, ფაქთ. მისამართი: ქ.თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. №28.

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო"** მისი დირექტორის **ნიკოლოზ მემანიშვილის** სახით (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული/ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N4; ტელ: 591198877; ს/კ 204427753, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 707307066

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

<u>წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს:</u>

- <u>„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (ზ) ქვეპუნქტი.</u>
- <u>საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 მარტის №.01-50 ბრძანება.</u>

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 თარგმნის მომსახურება (CPV79500000) დანართი N1-ში მოყვანილი ენებისა და პირობების შესაბამისად (დანართი N1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **2442.60** (ორიათას ოთხას ორმოცდაორი და .60) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია დანართი N1-ში.

2.3 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. გასაწევი მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 მოცემულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს შემოქმედებითი ევროპის დესკის ხელმძღვანელი- **ქეთევან შენგელია.**

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. გასაწევი მომსახურების კონკრეტული ვადები და პირობები მოცემულია დანართი N1-ში.

4.2. მომსახურება ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს (დანართი N1-ით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს **2018 წლის 17 მაისის** ჩათვლით.

4.3 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა სახის კორესპონდენციის მიწოდება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით (E-mail: megikadagidze@gmail.com შემსყიდველი; nika_555m@yahoo.com - მიმწოდებელი)

5. უსაფრთხოების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების, ნათარგმნი დოკუმენტის გვერდების რაოდენობის შესაბამისად.

5.2. გვერდების რაოდენობა იანგარიშება ნათარგმნი დოკუმენტის თითოეული გვერდის მიხედვით, არასრული გვერდი ჩაითვლება ერთ გვერდად. ამასთან, ერთი გვერდის მოცულობად ჩაითვლება 1800 საბეჭდი სიმბოლო (მათ შორის, სასვენი ნიშნებისა და ინტერვალების ჩათვლით).

5.3. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების დასრულებისას, მიღება-ჩაბარების აქტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტ(ებ)ი.

5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს საქართველოს შემოქმედებითი ევროპის დესკის ხელმძღვანელი- **ქეთევან შენგელია.**

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს **სახელმწიფო ბიუჯეტი, 2018 წლის** შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ **მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის** წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6.6. 6.3 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე პასუხისმგებელია 5.5 პუნქტში მითითებული პირი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2 მომსახურების გაწევის პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა ის შენიშვნა, რომლებიც დაკავშირებულია კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ ნორმებთან, აიღოს პასუხისმგებლობა მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

7.1.3. შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღების შემდეგ დანართი N1-ის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი თარჯიმნის მივლინება თბილისის მასშტაბით შემსყიდველის მიერ მითითებულ კონკრეტულ დროსა და მისამართზე.

7.1.4. „შემსყიდველს" საკუთარი სახსრებით გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს სათარგმნი დოკუმენტ(ებ)ის კონფიდენციალურობა;

7.1.5. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.6.დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება მაღალხარისხოვნად, აღნიშნულ მომსახურებაზე არსებული სტანდარტების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს, არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა.

8.1.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წარმოების პერიოდში, ასევე მომდევნო პერიოდში გაწეული მომსახურების შედეგად შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

8.1.3. მიმწოდებლის მხრიდან 8.1 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. უფლებების გადაცემა
9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა
12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი

გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

14.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით;

14.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2018 წლის 25 ივნისის** ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; მეორე ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“	სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“
ანა რიაბოშენკო დირექტორი	ნინოლარ მეძანიშვილი დირექტორი

დანართი №1

პრეისკურანტი

N	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის (დღგ-ს გარეშე)	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის (დღგ-ს ჩათვლით)
1	1-დან 15გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	25ლარი	29.5 ლარი
2	16-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	30 სამუშაო დღე	23 ლარი	27.14 ლარი
3	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	23ლარი	27.14 ლარი
4	1-დან 20 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	3 სამუშაო დღე	5 ლარი	5.9 ლარი
5	21-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	5 ლარი	5.9 ლარი
6	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	12.5 ლარი	14.75 ლარი
7	1-დან 10 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	7 სამუშაო დღე	5 ლარი	5.9 ლარი
8	11-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	30 სამუშაო დღე	5 ლარი	5.9 ლარი
9	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	12.5 ლარი	14.75 ლარი
10	სინქრონული თარგმანი	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	1 საათი – 300 ლარამდე	354 ლარამდე
11	თარჯიმნის მომსახურება, გარდა სინქრონული თარგმანისა	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	1 საათი – 300 ლარამდე	354 ლარამდე

12	სინქრონული აპარატურით მომსახურება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, გაწეული მომსახურების შესაბამისად	
	პრეისკურანტის 1-9 პუნქტებით გათვალისწინებული ღირებულებები წარმოადგენს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე სათარგმნი დოკუმენტების გვერდების ღირებულებას. ხოლო დანარჩენ უცხო ენებზე მომსახურების საფასური განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის ინდივიდუალურად 50 ლარამდე ოდენობის ფარგლებში. პრეისკურანტით გათვალისწინებული მომსახურების ვადები, ასევე 10-11 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ვრცელდება ყველა ენასთან მიმართებაში.			

„შემსყიდველი“
სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“

ანა რიაბოშენკო
დირექტორი

„მიმწოდებელი“
სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“

ნიკოლოზ ფიმანიშვილი
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 27.04.2018

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად , სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“-ს მიერ 2018 წლის 27 აპრილსს გაფორმებულ №33020130/19 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

გავეცანი ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გამაჩნია.

სსიპ „ შემოქმედებითი საქართველოს“
დირექტორი ანა რიაბოშენკო

შესყიდვების მენეჯერი მეგი ქადაგიძე

შემოქმედებითი ევროპის
დესკის ხელმძღვანელი ქეთევან შენგელია